საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

MIA 9 19 02158819

15/08/2019

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურის-ძველი თბილისის
სანებართვო განყოფილების-პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
(განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელს)
ბატონ **გიორგი მასხულიას**

ბატონო გიორგი,

თქვენი 2019 წლის 13 აგვისტოს N 60-01192252800 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ განხილული იქნა ქ. თბილისში, ჩუბინიძის ქუჩა N22-ში (ნაკვეთი N27/19) და ჩუბინიძის ქუჩის N24-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.17.01.027.004; 01.17.01.027.019) სასტუმროს შენობის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების შესახებ წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია.

აღნიშნული პროექტის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი მოთხოვნები:

1.შენობების გარე ხანძრის ჩაქრობისათვის გათვალისწინებული უნდა იქნას გარე ხანძარსაწინააღმდეგო რგოლური წყალგაყვანილობა, სახანძრო ჰიდრანტების მონტაჟით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ განაშენიანების უბანში არსებობს წყალგაყვანილობის ქსელი და ქსელზე დასაპროექტებელი შენობიდან 200 მეტრის რადიუსში უკვე დამონტაჟებულია სახანძრო ჰიდრანტი, შენობის გარე ხანძრის ჩაქრობისათვის ახალი სახანძრო ჰიდრანტის მოწყობა საჭირო არ არის.

2.განაშენიანების ტერიტორიაზე წყალგაყვანილობის არარსებობის შემთხვევაში, გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგება უნდა განხორციელდეს სახანძრო რეზერვუარის მოწყობის გზით და დადგენილი წესით განისაზღვროს მისი მოცულობა.

3.ვინაიდან ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები (დაცილება) შენობებსა და მეზობლად მდებარე შენობა-ნაგებობებამდე დამოკიდებულია ამ შენობა-ნაგებობების ცეცხლმედეგობის ხარისხსა და მათ ფუნქციურ დანიშნულებაზე, ხოლო წარმოდგენილ სამშენებლო დოკუმენტაციაში მითითებული არ არის მიმდებარე შენობა-ნაგებობები და არც მათი ხანძარსაშიში და

საქართველო, 0114, თბილისი, ინგოროყვას ქ. №7
ტელ: (+995 032) 2 28 78 40
ელ.ფოსტა: cepgeorgia@mia.gov.ge

№7, Ingorokva str. Tbilisi 0114, Georgia
Tel/Fax: (+995 032) 2 28 78 40
E-mail: cepgeorgia@mia.gov.ge

ცეცხლმედეგობის ხარისხი, შესაბამისად არც მათ შორის არსებული კონკრეტული ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები, აუცილებელია ამ ინფორმაციის მოპოვება, რის შემდეგ ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი დასაპროექტებელ და სხვა შენობა-ნაგებობებს შორის განისაზღვროს სამშენებლო ნორმების და წესების მოთხოვნების გათვალისწინებით, რომლებიც ადგენენ ამ მანძილებს.

4.გათვალისწინებული უნდა იქნეს შენობასთან მისასვლელი გზის მოწყობა სახანძრო ავტომობილებისათვის, სამშენებლო ნორმების და წესების შესაბამისად. სახანძრო ავტომობილების გასასვლელი გზების სიგანე და მანძილი გზის შიდა კიდიდან შენობის კედლამდე მიღებული უნდა იქნას სამშენებლო ნორმების და წესების შესაბამისად, ხოლო გზის საფარის კონსტრუქცია გათვლილი უნდა იქნას სახანძრო ავტომობილების დატვირთვაზე. ამ ზონაში დაუშვებელია შემოღობვის მოწყობა, ელექტროგადამცემი საჰაერო ხაზების გაყვანა და მწვანე ნარგავების რიგში დარგვა.

5.გათვალისწინდეს, რომ თუ სამშენებლო ნორმების და წესების მოთხოვნების შესაბამისად სასტუმროს შენობის სათავსოები დაცული უნდა იქნას ხანძრის ავტომატური ჩაქრობის სისტემით, შესაბამისად საჭირო გახდება შენობაში ან შენობის გარეთ ადგილის გამოყოფა ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემის სახანძრო რეზერვუარისათვის და სატუმბო სადგურისათვის.

ასევე გათვალისწინებული იქნეს, რომ სამსახურს აუცილებლად მიაჩნია მშენებლობის ნებართვის გაცემის II სტადიის პროცესში შემუშავებული და განსახილველად წარმოდგენილი იქნას შენობის შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების დაპროექტების დოკუმენტაცია.

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების შესახებ შესაბამისი დასკვნის მომზადებისათვის აუცილებელია მშენებლობის სანებართვო პროცესის I სტადიის მოთხოვნებიდან გამომდინარე განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებების შეტანა სამშენებლო დოკუმენტაციაში და კორექტირებული პროექტი წარმოდგენილი იქნეს მშენებლობის სანებართვო პროცესის მეორე სტადიაზე.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ვარშანიძე როინ